



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (I კვარტალი, 2022)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 17 | 10.03.2022


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი პიემსი კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განხილულია ქართველ ეკონომისტთა მიერ შეფასებული საქართველოს ეკონომიკური კლიმატი. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2022 წლის თებერვალში [ეკონომისტთა შეფასებების 86% გაკეთებულია რუსეთის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში სამხედრო ძალით შეჭრამდე].

გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუარესდა 2021 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მაგრამ გაუმჯობესდა 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

ამავე პერიოდში ქართველმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუარესებულია 2021 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მაგრამ მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

ქართველ ეკონომისტებს უარყოფითი მოლოდინები აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის მაჩვენებელი ასევე გაუარესდა 2021 წლის მეოთხე კვარტალში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით, და გაუმჯობესდა 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2022 წელს 4.9%-ს შეადგენს. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:



ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის კლება შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;



გაცვლითი კურსი



გაჭრობის მოცულობა

- ქართული ლარი ამჟამად ნაკლებად შეფასებულია აშშ დოლარის, ევროსა და თურქული ლირის მიმართ და ზედმეტად არის შეფასებული რუსული რუბლის მიმართ;
- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა უახლოეს ექვს თვეში გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ექსპორტის მოცულობა, სავარაუდოდ უფრო ნაკლებად გაიზრდება, ვიდრე იმპორტისა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას მომდევნო ექვს თვეში გასულ ექვს თვესთან შედარებით.

სპეციალური შეკითხვები

2022 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში ქართველმა ეკონომისტებმა შეფასებები გააკეთეს სხვადასხვა თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ დროისათვის არსებულ ეკონომიკური კლიმატის ტენდენციებთან.

საერთო ჯამში, გამოკითხულ ეკონომისტთა 71,4% ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 2 თებერვალს მიღებულ გადანაცვლებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად, 10,5%-ზე, დატოვების შესახებ.

რაც შეეხება სებ-ის 2022 წლის მაკროეკონომიკური პროგნოზის სცენარებს, გამოკითხულთა 60,7% მიიჩნევს, რომ ყველაზე რეალურია საბაზისო სცენარი, რომელიც პროგნოზირებს წლიური ინფლაციის 7%-მდე შემცირებას და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას 2 პროცენტული პუნქტით 8,5%-მდე. მათგან 25% იხრება პესიმიზტური სცენარისკენ, რომელიც პროგნოზირებს, რომ ინფლაციის მაჩვენებელი 8%-მდე შემცირდება, ხოლო ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 0,5 პროცენტული პუნქტით, 10%-მდე შეამცირებს. საინტერესოა, რომ არც ერთი გამოკითხული ეკონომისტი არ ეთანხმება ოპტიმისტურ სცენარს, რომლის მიხედვითაც 2022 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 5,5%-მდე, ხოლო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-მდე შემცირდება. ამავდროულად, ექსპერტების 20,7% მაკროეკონომიკური პროგნოზის ამ სამი სცენარიდან არც ერთს არ მიიჩნევს რეალისტურად.

ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს სხვადასხვა ისეთი ფაქტორის რელევანტურობა, რომლებსაც შეიძლება გამოეწვიოს 2022 წლის იანვარში დაფიქსირებული ინფლაციის ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი. გლობალურად მზარდი ენერგიისა და ბენზინის ფასები ეკონომისტთა 82%-მა ძალზე რელევანტურად მიიჩნია. გამოკითხულთა 68%-ის აზრით, იმ პერიოდში საქართველოს მაღალ ინფლაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავაჭრო ბარიერებიც. მინოდების ხარჯები ექსპერტების 61%-ს, ხოლო პანდემიის დროს გამოყოფილი დანებარებების შეწყვეტა 54%-ს მიაჩნია აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირებული მაღალი ინფლაციის ასახსნელად რელევანტურ მიზეზად.

გარდა ამისა, ეკონომისტებს სთხოვეს, შეეფასებინათ სხვადასხვა ფაქტორის რელევანტურობა ლარის აშშ დოლარის მიმართ მნიშვნელოვან გამყარებაში, რომელიც 2022 წლის 18 იანვრიდან 9 თებერვლამდე დაფიქსირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება უაღრესად რელევანტურ ფაქტორად მიიჩნია გამოკითხულთა 61%-მა. ფულადი გზავნილების ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი გამყარების ასხნაში მნიშვნელოვნად გამოკითხულ ეკონომისტთა 39%-ს მიაჩნია, ხოლო ტურიზმის აღდგენის პოზიტიური დინამიკა რელევანტურია 36%-ის აზრით.

ექსპერტებმა ასევე შეაფასეს, უკრაინა-რუსეთის ომის შედეგად რომელი არხებით მიიღებდა საქართველოს ეკონომიკა ყველაზე მძიმე ზარალს. ეკონომისტების 68% თვლის, რომ მნიშვნელოვან ზიანს ტურიზმის სექტორიდან უნდა ველოდოთ. ლარის გაუფასურებაზე 64%-მა გაამახვილა ყურადღება. გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტი ყველაზე დიდ ზარალს ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის შემცირების შედეგად ელის.

მეთოდოლოგია
იხილეთ იმ ფაქტორების მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინს. მასშტაბი მერყეობს -100 ქულიდან +100 ქულამდე. -100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითი), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებითი), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს

ინდიკატორები	2019	2020	2021 Q1	2021 Q2	2021 Q3
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 888.1*	3 402.3*	4 663.4*	5 126.6*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე(აშშ დოლარი)	4 696.2	4 274.6*	912.5*	1 282.7*	1 375.0*
მშპ რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.2%*	-4.5%*	28.9%*	9.1%*
ინფლაცია	4.9%	5.2%	4.5%	8.3%	12.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 335.8	572.0	132.2*	297.7*	299.0*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	21.9%	22.1%	18.5%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	7 721	8 017	7 729
სიღარიბის დონე(ფარდობითი)	20.1%	19.7%	-	-	-

*ნინასარი მონაცემები



ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოსაბეჭდი ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- o პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- o რომ პუბლიკაციამო შოიყემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომამი შეიყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შემზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილაძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

გიორგი ნულაია
უმცროსი მკვლევარი
g.tsulaia@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
კვლევითი ასისტენტი
a.chkenkeli@pmcginternational.com